ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-21 ფ 229-19

"06" 02 2019 წ.

დადგენილება №000187
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

06.02.2019წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ გიორგი გეჯაძემ განვიხილე 2019 წლის 6 თებერვლის №000187 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. „ბი ემ ჯი დეველოპმენტი"-ს** (ს/კ №405135820; დირექტორი - ლაშა ჩიხრაძე; მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ.ფალიაშვილის ქ., №26, ბ. №2) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ქუჩა I ასპინძა, №13-ში (ს/კ №01.16.04.054.002), შ.პ.ს. „ბი ემ ჯი დეველოპმენტი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3964398 16.05.2018წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის (№3987876 30.05.2018 წ.) დარღვევით: -3.00 ნიშნულზე (ფარეხის სართულზე) 12-11 ღერძებს შორის ფანჯრის ნაცვლად მოეწყო რკინის ცხაური. 11-10 ღერძებში გაუქმდა ფანჯარა. 10-9 ღერძებში ფანჯარა შეიცვალა რკინის ცხაურით. 9-8 ღერძებში გაუქმდა ფანჯარა. 8-7 ღერძებში გაუქმდა ღიობი, ფანჯარა შეიცვალა რკინის ცხაურით. 5-4 ღერძებში ფანჯარა შეიცვალა რკინის ცხაურით. 4-3 ღერძებს შორის მოეწყო რკინის ცხაური. 3-2 ღერძებში გაუქმდა ფანჯარა. 2-1 ღერძებში ფანჯარა შეიცვალა რკინის ცხაურით. 0.0 ნიშნულზე შეიცვალა სადარბაზოში შესასვლელი კარის ღიობის გაბარიტები. 3-1 ღერძებში კედლის მოპირკეთება ტრავერტინის ნაცვლად შესრულებულია აგურით და დეკორატიული ლესვა ღებვით. 7-3 და 12-10 ღერძებში ტრავენტინის ნაცვლად მოპირკეთებულია აგურით. გ-ა ღერძებში სადარბაზოში ვიტრაჟული კარის ნაცვლად [illegible] რკინის კარი. ნ-ლ ღერძებში ფანჯრის ორი ფრთის ნაცვლად [illegible] ფრთა. 6-8 ღერძებში შეცვლილია ფანჯრების გაღების მიმართულება. 3-4 ღერძებში იღება მხოლოდ ფანჯრის ერთი ფრთა და საცხოვრებელი ფართის

ვიტრაჟის გაღება არის მარცხენა ფრთაზე გადმოტანილი. თ-ბ ღერძებს შორის ტრავერტინით მოპირკეთება შეცვლილია აგურით. თ-ი ღერძებს შორის კარის ფრთის გაღება არის სარკისებურად შეცვლილი. +3.3-დან +6.60 ნიშნულზე 3-1 ღერძზე გაიზარდა ვიტრაჟის გაბარიტული ზომები სიგანეში და შეიცვალა გაღების მხარე, 5-4 ღერძებზე შეცვლილია ვიტრაჟის გაღების მხარე, ასევე 8-7, 9-8, 12-11 ღერძებზე. 12-9 ღერძებზე ტრავერტინის მოპირკეთება შეიცვალა აგურით. ა-თ ღერძებს შორის გაუქმებულია ფანჯარა. ნ-ლ ღერძებს შორის ფანჯრის ორი ფრთის ნაცვლად იღება ერთი. 4-12 ღერძებს შორის მინის აივნის, ნაწილობრივ ამოშენების ნაცვლად მოეწყო რკინის მოაჯირები. 8-9 ღერძებზე შეცვლილია ფანჯრის ფრთის გაღების მხარე, ასევე შეცვლილია 7-8 და 6-7 ღერძებში. 3-4 ღერძებზე შეცვლილია ფრთის მხარის გაღება და 1 ფანჯრის ორი ფრთის ნაცვლად იღება ერთი. 2-3 ღერძებზე სადარბაზოს ფანჯრის ღიობის გაბარიტები არის შეცვლილი და ფანჯარა გაუქმებულია. 1-2 ღერძებზე ფანჯრის ფრთის გაღების მხარე არის შეცვლილი. თ-ი ღერძებზე გაზრდილია ვიტრაჟის გაბარიტული ზომები. ი-ბ ღერძებს შორის ამოშენებულია ერთი ფანჯრის ღიობი, შეცვლილია მოაჯირების დიზაინი და ფორმა. +9.9 12-11 და ი-ა ღერძებში საცხოვრებელი ფართი გახდა საზაფხულო ფართი. ორი ვიტრაჟი შეიცვალა ჰორიზონტალურად მოძრავი ვიტრაჟით. ბ-გ ღერძებში ტრავერტინი შეიცვალა აგურით. გ-ლ ღერძებში დაემატა ვიტრაჟი. 1-2 ღერძებში ამოვარდა მარცხენა ვიტრაჟი. 4-5 ღერძებში ამოვარდა მარცხენა ჟალუზი. შეიცვლილია მარცხენა ვიტრაჟის კონფიგურაცია. 5-6 ღერძებში შეიცვალა კიბის ღიობის ზომა. თ-ი ღერძებში შეიცვალა მარჯვენა ვიტრაჟის კონფიგურაცია. 2-1 ღერძებზე საცხოვრებელი ფართის ნიშნულზე +3.3, +6.6, +9.9 მოხდა საზაფხულო ფართით ჩანაცვლება, შეიცვალა (შემცირდა) საცხოვრებელი ფართის გაბარიტული ზომა შენობის საერთო გაბარიტის უცვლელად. შენობის არსებული კონსტრუქციაში მოხდა საცხოვრებელი ფართის შემცირება საზაფხულო ფართით. +13.2 ნიშნულზე 6-10 ღერძებში მოწყობილია არმატურის ბადე, სადაც ბეტონის ჩასხმა არ არის განხორციელებული.

2019 წლის 6 თებერვალს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ" პუნქტის საფუძველზე, შედგა შემოწმების აქტი №000187 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/0119037614-17 06.02.2019წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ბი ემ ჯი დეველოპმენტი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ქუჩა I ასპინძა, №13-ში (ს/კ №01.16.04.054.002), განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3964398 16.05.2018წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის (№3987876 30.05.2018 წ.) დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ბი ემ ჯი დეველოპმენტი" დაჯარიმდეს 10000 (ათიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. „ბი ემ ჯი დეველოპმენტი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი:** **TRESGE22,** **საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი:** **300773263,** გადახდის **დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ბი ემ ჯი დეველოპმენტი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების [illegible] საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის [illegible] ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

საგადახდო დავალება N5

რეფერენსი
7566990385

გადამხდელის დასახელება: შპს ბი ემ ჯი დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი) GE58BG0000000141563700
საკომისიოს ანგარიში GE58BG0000000141563700

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს ბი ემ ჯი დეველოპმენტი

საიდენტ. კოდი 405135820

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

გადახდის დანიშნულება: სანებართვო პირობების დარღვევის ჯარიმის საფასური

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

ბ.ა.

თანხა

10000-00

თანხა სიტყვებით

ათი ათასი ლარი 00 თეთრი

საკომისიო: 7 (შვიდი) ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

წარდგენის თარიღი: 07.02.2019

მიღების თარიღი: 07.02.2019

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

თიბისი ბანკი
TBC BANK

სალაროს შემოსავლის ორდერი
CASH DEPOSIT ORDER

1812191035 GEL

თარიღი 16/11/2017 Date

16/11/2017 2:47:35 PM

ასლი
Copy

შემომტანი Depositor	ლაშა ჩიხრაძე,01003067915	დებეტი Debit	1003
მიმღები ბანკი, კოდი Bank name, code	თბილისის იუსტიციის სახლის ს/ც, TBCBGE 22	კრედიტი Credit	GE39 TB70 0253 3030 1002 34
მიმღები Receiver	ქ.თბილისის მერია		
თანხა სიტყვიერად,ვალუტა Amount in words,currency	შვიდი ათას ხუთას ოცდაცამეტი ლარი 07 თეთრი	თანხა ციფრებით Amount in figures	7,533.07 GEL
შემოტანის დანიშნულება Description	კ2 მომატების გადასახადი		

TBC BANK თიბისი ბანკი
კოდი CODE TBCBGE22
17

მოლარე
Cashier

ბ.ა.

თეონა ადუაშვილი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

თიბისი ბანკი
TBC BANK

სალაროს შემოსავლის ორდერი
CASH DEPOSIT ORDER

110913811

თარიღი 16/11/2017 Date

GEL

შემომტანი Depositor	ლამა ჩიხრაძე, 01003007915
მიმღები ბანკი, კოდი Bank name, code	ს.ს. "თიბისი ბანკი", TBCBGE22
მიმღები Receiver	გადარიცხვების სატრანზიტო ანგარიში
თანხა სიტყვიერად, ვალუტა Amount in words, currency	ერთიათას ორას ორმოცდათხუთმეტი ქართული ლარი 60 თეთრი
შემოტანის დანიშნულება Description	TAS;AR1558331BP;თანხა:1254.60;საკ:1.00
საიდენტიფიკაციო ნომერი Tax code	
სახაზინო კოდი Treasury code	

დებეტი Debit	1003
კრედიტი Credit	GE38TB0000000450109777
თანხა ციფრებით Amount in figures	1,255.60 GEL

ასლი
Copy

კლიენტის ანგარიშზე შეტანილი ან/და ჩარიცხული თანხ(ებ)ის ასახვას, კლიენტის ანგარიშიდან თანხ(ებ)ის გადარიცხვას ან კლიენტის მიერ ნაღდი ანგარიშსწორების წესით ბანკში შეტანილი თანხ(ებ)ის მიმღების ანგარიშზე ასახვას ბანკი უზრუნველყოფს არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. ინფორმაცია საკომისიოს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი TBC BANK
კოდი CODE TBCBGE22
07601

მოლარე
Cashier

ბ.ა.

16/11/2017 14:49

72460